სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

16/06/2026

MES 0 26 0000726372

ბრძანება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამის "სატრანსპორტო დოკუმენტაციის სპეციალისტი" ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის 2026 წლის 15 ივნისის №718634 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების'' მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის'' მე-2 მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ: 402019917) პროფესიული მომზადების პროგრამა "სატრანსპორტო დოკუმენტაციის სპეციალისტი" **(დანართი).**

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

დანართი

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02601	სატრანსპორტო დოკუმენტაციის სპეციალისტი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	15	ქართული	20	ქ. თემქის დასახლება, მე-11 მ/რ მე-3 კვარტ. ნაკვეთი 01/10

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2026 წლის 19 მაისის

ბრძანებით N118

.....

ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: სატრანსპორტო დოკუმენტაციის სპეციალისტი
პროგრამის სახე: ☒ პროფესიული მომზადება ☐ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ 2 ☐ 3 ☒ 4 ☐ 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 15
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: **მინიმალური 5 მაქსიმალური 10**
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მიზნები: მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის „**სატრანსპორტო დოკუმენტაციის სპეციალისტი** “ მიზანია, უზრუნველყოს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც ფლობენ საერთაშორისო და ადგილობრივი სატრანსპორტო-საექსპედიტორო დოკუმენტაციის შედგენის, დამუშავებისა და მართვის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს. პროგრამის ფარგლებში მსმენელები: • შეისწავლიან სატრანსპორტო და ლოგისტიკური დოკუმენტაციის სტრუქტურას, შინაარსსა და საერთაშორისო სტანდარტებს; • დაეუფლებიან საბაჟო და საგადასახადო დოკუმენტების მომზადებასა და ელექტრონულ პლატფორმებზე მუშაობას; • განივითარებენ უნარებს, რომლებიც აუცილებელია დოკუმენტაციის სიზუსტის, სანდოობისა და სამართლებრივი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; • შეძლებენ გადაზიდვების პროცესში დოკუმენტური ნაკადების ეფექტიანად მართვას. პროგრამის საბოლოო მიზანია, მსმენელებს შეუქმნას საფუძველი დასაქმებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო ლოგისტიკურ, სატრანსპორტო და საექსპედიტორო კომპანიებში, გაზარდოს მათი კონკურენტუნარიანობა და ხელი შეუწყოს საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური სექტორის სტაბილურ განვითარებას.
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) 1. **სფეროს მარეგულირებელი ორგანიზაციების და ურთიერთობის წესების აღწერა;** 2. **სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის აღწერა;** 3. **ტვირთების ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა;** 4. **ტვირთების ექსპედირების სპეციალისტის უფლება-მოვალეობების აღწერა;** 5. **ხელშეკრულების გაფორმება;**

6. სატრანსპორტო დოკუმენტაციის მომზადება.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:** „ტვირთების ექსპედირება“
- **მოდულები:**
- ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები;
- ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები;
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო დოკუმენტაციის მომზადება.

პროგრამის მოკლე აღწერა: წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 15 კვირა და 300 საათი.

პროფესიული მომზადების პროგრამა მსმენელს მისცემს საშუალებას შეიძინოს საფუძვლიანი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები სატრანსპორტო-საექსპედიტორო დოკუმენტაციის მომზადების, დამუშავებისა და მართვის მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში მსმენელები:

- დაეუფლებიან საერთაშორისო და ადგილობრივი დოკუმენტაციის სტანდარტებსა და მოთხოვნებს;
- შეისწავლიან საბაჟო და საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენის წესებს;
- პრაქტიკულად იმუშავებენ სატრანსპორტო დოკუმენტებთან (კონოსამენტი, ინვოისი, შეფუთვის ფურცელი, სადეკლარაციო ფორმები და სხვა);
- განივითარებენ უნარს ელექტრონულ საბაჟო და ლოგისტიკურ პლატფორმებზე მუშაობისათვის;
- შეძლებენ დოკუმენტაციის სიზუსტისა და სამართლებრივი შესაბამისობის უზრუნველყოფას.

პროგრამის დასრულების შემდეგ, მსმენელები მზად იქნებიან დასაქმდნენ ადგილობრივ და საერთაშორისო სატრანსპორტო, საექსპედიტორო და ლოგისტიკურ კომპანიებში, როგორც დოკუმენტაციის სპეციალისტები.

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც ექნება სრული ზოგადი განათლება. პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლოგარემო
1	• ადგილობრივ დონეზე სატვირთო გადაზიდვების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ძირითადი ასპექტების განმარტებები; • საერთაშორისო დონეზე სატვირთო გადაზიდვების სფეროს	1	20	ლექცია	გამოკითხვა	A

	მარეგულირებელი კონვენციების ძირითადი ასპექტების განმარტებები; • საწარმოს ურთიერთობის სფეროები და წესები მარეგულირებელ უწყებებთან.					
2	• ადგილობრივ დონეზე სატვირთო გადაზიდვების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ძირითადი ასპექტების განმარტებები; • საერთაშორისო დონეზე სატვირთო გადაზიდვების სფეროს მარეგულირებელი კონვენციების ძირითადი ასპექტების განმარტებები; • სატვირთო გადაზიდვების სფეროს მარეგულირებელი ადგილობრივი ორგანიზაციების ძირითადი ფუნქციები და ამოცანები;	1	20	ლექცია,	გამოკითხვა	A
3	• ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა; • ექსპედიტორის უფლებები და მოვალეობები მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად; • ტვირთების გადაზიდვასთან და შენახვასთან დაკავშირებული საბაჟო კანონმდებლობა და პროცედურები;	2	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A
4	• სატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესები და კანონმდებლობის მოთხოვნები; • ტვირთების გადაზიდვასთან და შენახვასთან დაკავშირებული საბაჟო კანონმდებლობა და პროცედურები;	2	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A

5	• ტვირთების ექსპედირების სპეციალისტის პროფესიის არსი; • ტვირთების ექსპედირების საწარმოს ძირთიდი ამოცანები და ფუნქციები; • ტვირთების ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები; • ტვირთების ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა	3	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A
6	• ექსპედირების სპეციალისტის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები; • ანგარიშგების ფორმები; • პროფესიული ურთიერთობების ტიპები;	4	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A
7	• საექსპედიტორო მომსახურების შესახებ შეთავაზების მომზადება; • ტვირთის გადაზიდვების მომსახურების ხელშეკრულების პირობები, გადამზიდავის და ტვირთების ექსპედიტორის უფლება-მოვალეობები.	5	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	A; C
8	• გადაზიდვების მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულების პირობები და მხარეთა უფლება-მოვალეობები	5	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	A; C
9	• გადაზიდვის მომსახურების კონტრაქტორების ეფექტურობის შეფასება და კონტროლი;	5	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	A; C

10	• ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მექანიზმები და ინსტრუმენტები.	5	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	A; C
11	• ტვირთის გადაზიდვის დოკუმენტაცია და მათი გაფორმების წესები	6	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	A; C
12	• გადაზიდვის განაცხადის შევსების წესები/ინსტრუქცია	6	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	A; C
13	• მომსახურების ინვოისის შედგენის წესები; • სახიფათო ტვირთების გადაზიდვის დოკუმენტაციის შედგენის წესები;	6	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	A; C
14	• საწარმოს მართვის ელექტრონული სისტემა; • ანგარიშსწორების დოკუმენტის შედგენის წესი	6	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	A; C
15	• საწარმოს მართვის ელექტრონული სისტემა	6	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	A; C

3.პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული მომზადების პროგრამა "ტვირთების ექსპედირება"	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი

ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები - 04.2.1.2	1. სფეროს მარეგულირებელი ორგანიზაციების და ურთიერთობის წესების აღწერა; 2. სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის აღწერა;
ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები - 04.2.1.1	1. ტვირთების ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა; 2. ტვირთების ექსპედირების სპეციალისტის უფლება-მოვალეობების აღწერა;
სატრანსპორტო-საექსპედიტორო დოკუმენტაციის მომზადება - 04.2.1.4	1. ხელშეკრულების გაფორმება; 2. სატრანსპორტო დოკუმენტაციის მომზადება.